პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 265 (19706) ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: სხდომის დარბაზში. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სანდაო-ბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ენერგეტიკის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიებმა, სანიაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიებმა, საგარეო საქმეთა კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა.

მუხლი 2. დაწესდეს 1987 წლისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მატების შემდეგი ტემპი:

	(მატება პროცენტობით 1986 წლის გეგმასთან შედარებით)
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	4,1
მრეწველობის პროდუქცია — სულ	4,4
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,8
მოხმარების საგნების წარმოება	4,5
სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებანი	
დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით	4,6
ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთნაგდვის (გაგზავნის) მოცულობა	2,5
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	4,4
მშენებლობაში	3,8
რკინიგზის ტრანსპორტზე	4,6
მოგება სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობისაგან	7,5
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	2,6
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (უალკოჰოლო სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარდა)	5,9
მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	9,5
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	4,9
ბავშვთა რაცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელთა დაწესებულებებში	3,1
საავადმყოფო საწოლების რაცხვი	1,6

სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული სოციალური განვითარების პროგრამისა და მეთორმეტე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დავალებათა თანმიმდევრული რეალიზაციისათვის 1987 წელს ცენტრალიზებული წესით განხორციელდეს 2,8 მილიარდი მანეთი ხარჯების გათვალისწინებით ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი, მათ შორის:

დამთავრდეს სახალხო განათლების მუშაკთა ხელფასის გადიდება;

გაგრძელდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა ხელფასის (ეტაპობრივი გადიდება;

დაიწყოს შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ რაიონებში, ჩიტის ოლქში, ბურიატთა ახს რესპუბლიკასა და ტუვის ახს რესპუბლიკაში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის მუშა-მოსამსახურეების ხელფასის დანამატების გადახდა;

დაწესდეს ურალსა და იაკუტიის სს რესპუბლიკის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონების საწარმოო დარგებში მომუშავე იმ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის რაიონული კოეფიციენტები, რომლებისთვისაც ისინი ჯერ კიდევ არ დაწესებულა;

გაგრძელდეს ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ანაზღაურებული პერიოდი 14 დღემდე;

გაუდიდდეთ კოლმეურნეებსა და მათ ოჯახებს პენსიები, რომლებიც 10 წელზე მეტი ხნის წინათ დაენიშნათ თვეში 50 მანეთამდე ოდენობით;

გაუდიდდეთ დახმარება ბავშვობიდან ინვალიდებს, დაწესდეს 16 წლამდე ასაკის ინვალიდი ბავშვების მედიკამენტებით უფასო უზრუნველყოფა, დაწესდეს I და II ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებისათვის წამლების 50-პროცენტიანი ფასჩამოკლება;

გაუდიდდეთ სტიპენდიების ოდენობა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ასპირანტებს.

გაგრძელდეს სახელმწიფო შინაგანი სესხების დაფარვა.

აშენდეს 1987 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 126,2 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ბინები.

მუხლი 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა 1987 წლის საგეგმო დავალებათა რეალიზაციისას: განახორციელონ წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის გადიდების ღონისძიებანი იმ საფუძველზე, რომ განავითარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სტრუქტურულად გარდაქმნან ეკონომიკა, გამოიყენონ მართვის ყველაზე რაციონალური ფორმები, სრულყონ შრომის ორგანიზაცია და სტიმულირება, გადაიტანონ რესურსების დაზოგვა ნედლეულზე, მასალებზე, სათბობსა და ელექტროენერგიაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა მატების დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ;

განაგრძონ მუშაობა, რათა სრულყონ სამეურნეო მექანიზმი, შექმნან სახალხო მეურნეობის დარგებში მართვის ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც მთელი სისრულით გამოავლენს შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო პოტენციალის უფრო სრულ რეალიზაციას. უზრუნველყონ, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების თითოეული რგოლის მუშაობის დონე და ეფექტიანობა, განმტკიცდეს სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინა, ფარდონდ გაიშალოს საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანი და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაერთიანებებს, საწარმოებს, და ორგანიზაციებს შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა გათვალისწინებით ფართოდ გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება, რათა ამოქმედონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ყველა რეზერვი, გადაწყვეტონ სახალხო მეურნეობის საქონლის ხარისხის გაუმჯობესების, ასორტიმენტის გაფართოების, გამოშვების არსებითი გადიდებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის ზრდის საკითხები.

მუხლი 5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალოს განიხილოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სანდაო-ბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

მსოფლიოს პარლამენტებსა და ხალხებს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესმა საბჭომ, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ყველა ქვეყნისა და ხალხის ისტორიული ბედის ერთიანობა ბირთვული საფრთხის წინაშე დაყენებით აყენებს მისი თავიდან აცილებისათვის ერთობლივი მოქმედების აუცილებლობის საკითხს, საჭიროდ მიიჩნია მიმართოს მსოფლიოს ყველა პარლამენტსა და ხალხს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრამ რეიკიავიკში თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ბრძოლა მსოფლიოსათვის ბირთვული იარაღის გარეშე. ახლა ჩვენ ვიცით: ბირთვული იარაღისაგან განთავისუფლება ჯერ კიდევ ახლანდელი თაობის სიცოცხლეში შეიძლება.

სწორედ ამ მიზანს ისახავს ჩვენი ქვეყნის მიერ წამოყენებული გაბედული და ამასთანავე სავსებით რეალური პროგრამა.

საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა, რომ ხუთი წლის განმავლობაში 50 პროცენტით შემცირდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, ანუ 1996 წლის დამლევისათვის, ლიკვიდაციას დაექვემდებარებოდა მხარეთა მთელი დანარჩენი შეიარაღება, რომელიც ამ კატეგორიას განეკუთვნება.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით **მთლიანად იქნეს ლიკვიდირებული** სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების **საშუალო საშორის რაკეტები** ევროპაში და რადიკალურად შემცირდეს ამ კლასის რაკეტების რიცხვი აზიაში.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრონ ვალდებულება 10 წლის განმავლობაში **არ გამოიყენონ თავიანთი უფლება გასცდნენ რაკეტსაწინააღმდეგო ფარგლებს** და მკაცრად დაიცვან ამ ხელშეკრულების ყველა დებულება. ჩვენ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" მოწინააღმდეგენი და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების განმტკიცების მომხრენი ვართ.

და ბოლოს, ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოლაპარაკებას **ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტის შესახებ.**

(დასასრული მე-2 გვ.).

დაჩქარებისა და მშვიდობის სტრატეგია

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლედის მეორე წლის გეგმას კანონის ძალა მიანიჭეს ხალხის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. პარტიის მიერ შემუშავებული დაჩქარების სტრატეგიის წარმატება, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება მშვიდობისა და ხალხის კეთილდღეობის ინტერესებისათვის, ნაზგასმით აღნიშნეს დეპუტატებმა, ბევრად იქნება დამოკიდებული შემოქმედებითად, შეტევითად მოქმედების, არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა მიღების, სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებაში არსებული უდიდესი პოტენციალის უფრო სრული გამოყენების უნარზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ სესიის დღის წესრიგის საკითხთა განხილვამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პარტია და მთავრობა უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას — მრავალფეროვანი მაღალხარისხოვანი საქონლითა და მომსახურებით ბაზრის უხვად უზრუნველყოფას — უდიდეს ყურადღებას უთმობენ.

დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე განახლება მოითხოვს საგულდაგულო კონტროლს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი, წარმოებაში ყველა რეზერვის მოქცევისადმი, მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიური და რაციონალური გამოყენებისადმი, შრომითი სტაჟიანობის ყველა უბანზე კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს დისციპლინა და წესრიგი.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია ბირთვული კატასტროფის შექმნილი საფრთხის აღმოფხვრა, ბირთვული იარაღისაგან კაცობრიობის ხსნა.

10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ნ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. ვ. ჩებრიკოვს, ა. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. ა. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ვ. ა. შედვედევს, ვ. ა. ნიკონოვს, გ. ა. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ნ. ტოლუბეევი.**

საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1986 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ვ. ტალიზინმა.**

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა, თქვა მან, თქვენ ყოველმხრივ განიხილეთ. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიათა დასკვნებში, დეპუტატთა გამოსვლებში მან მხარდაჭერა და მოწონება დაიმსახურა. გეგმის განხილვის პროცესში შემოტანილია კონკრეტული წინადადებანი მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისა და ცალკეული დარგების განვითარების შესახებ.

დაძაბულ საგეგმო დავალებათა რეალიზაცია უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ორგანიზატორულ მუშაობასა და საზოგადოებრივი წარმოების მართვის ყველა დონეზე გარდაქმნის მიმდინარეობაზე და უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორ უდგებიან გეგმის რეალიზაციას ადგილებზე.

ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაკებს ახლა მოეთხოვებათ აქტიურობა და სიბეჯითე, ყველა შესაძლებლობისა და რეზერვის ძიება და საქმეში გამოყენება.

გეგმის განხილვის დროს დეპუტატები აყენებდნენ მატერიალური რესურსების გადიდების საკითხებს. ამ პრობლემის გადაწყვეტის მთავარი გზაა ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის რაციონალური გამოყენება. სხვა გზა არ არის.

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სანდაო-ბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სანდაო-ბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ენერგეტიკის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიებმა, სანიაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიებმა, საგარეო საქმეთა კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა.

მუხლი 2. დაწესდეს 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავალი — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სოციალისტური მეურნეობისაგან მიღებული სხვა შემოსავალი — 400.964.715 ათასი მანეთი საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სანიაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის განკუთვნილი ხარჯები 247.379.065 ათასი მანეთი საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებების — სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის განკუთვნილი ასიგნებანი 140.641.911 ათასი მანეთი საერთო ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ნაწილში 55.089.985 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ქვეყნის თავდაცვის ასიგნებანი 20.244.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და პროკურატურის შესანახი ასიგნებანი 2.922.221 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დამტკიცდეს 1987 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 241.744.136 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 241.571.536 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 172.600 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავალ-გასავლის ნაწილში 193.938.378 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

	(ათასი მან.).
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	105.852.525
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	34.247.440
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.217.006
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.901.888
აზერბაიჯანის ახს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	12.249.991
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.154.472
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.099.827
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.784.429
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.724.262
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.594.936
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.265.554
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.977.219
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.065.182
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.638.748
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.664.954

მუხლი 9. დამტკიცდეს 1987 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში ანარიცხები შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადიდან: რუსეთის სფსრ — 76,6 პროცენტი, უკრაინის სსრ — 58,2 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 64,7 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 100 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 82,8 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 58,7 პროცენტი, ლატვის სსრ — 100 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 69,4 პროცენტი, ლატვიის სსრ — 66,8 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 100 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 100 პროცენტი, სომხეთის სსრ — 76,6 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 87,5 პროცენტი;

ბ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან: უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ლიტვის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი.

1987 წლის საკავშირო ბიუჯეტიდან გამოიყოს უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 1.786.904 ათასი მანეთი, ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 817.841 ათასი მანეთი, ლიტვის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 280.225 ათასი მანეთი, ყირგიზეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 281.930 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 244.145 ათასი მანეთი, და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 229.757 ათასი მანეთი, რათა უზრუნველყონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება.

მუხლი 10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სანდაო-ბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 390.602.459 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 386.469.347 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 4.133.112 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობა

კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ა. მ. შკოლნიკოვის მოხსენება

უმაღლესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის განხილვა ახლანდელ სესიაზე, როცა ქვეყანაში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარეობს უდიდესი მუშაობა მთელი სამეურნეო ცხოვრებისა და მართვის ძირეული გარდაქმნისათვის, თქვა მან, ადასტურებს, თუ რა დიდ როლს მიაკუთვნებენ პარტია და სახელმწიფო სახალხო კონტროლს დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და განახლების დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში.

პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოების ყოველდღიური მხარდაჭერის მეოხებით სახალხო კონტროლი აღიარებულია როგორც დიდი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ძალა ნაკლოვანებების წინააღმდეგ, პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლაში. ახლანდელ პირობებში სახალხო კონტროლის ორგანოები უნდა მოქმედებდნენ უფრო აქტიურად და შეტევითად, უფრო სწრაფად გარდაქმნილნენ თავიანთ მუშაობას პარტიის მოთხოვნების შესაბამისად.

1984 წლის აპრილში მისი შექმნის შემდეგ განვლილ დროში კომიტეტმა, სადირექტივო ორგანოების დავალებათა შესრულებისას და თავისი სამუშაო გეგმების შესაბამისად მოაწყო ექვსსამდე შემოწმება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგსა და ქვეყნის რეგიონებში. მეტ წილ შემოწმებათა შედეგები განიხილეს თვით კომიტეტმა ან ჩვენი დავალებით — სამინისტროებმა და უწყებებმა. ხშირად შემოწმებათა მასალები რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების თხოვნით იგზავნებოდა მათს განსახილველად.

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე შემოწმებათა შედეგებს მოვახსენებდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მთავრობას, ბევრი მათგანის გამო მიღებული ნაბიჯებია დადგენილებანი. ჩვენ, თქვა დეპუტატმა, რეგულარულად ვაწყვდით შემოწმებათა მასალებს აგრეთვე უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო კონტროლის კომიტეტი, მისი ადგილობრივი ორგანოები მთელ თავიანთ საქმიანობას ახმარდნენ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო გეგმა-დავალებათა შესრულებისადმი კონტროლს, წარმოებაში არსებული რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებას, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეკონომიასა და რაციონალურ გამოყენებას. ამ საკითხებზე კომიტეტებმა მოაწყვეს პრაქტიკულად ყოველი მეორე შემოწმება.

როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე განხორციელებულმა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებმა ბევრ შემთხვევაში ხელი შეუწყო საქმის ვითარების გამოსწორებას, მუშაობაში ჩავარდნების თავიდან აცილებას, დისციპლინის განმტკიცებას.

მაგრამ, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენ სავსებით ვითვალისწინებთ იმას, რომ სახალხო კონტროლის ეფექტიანობა ჯერჯერობით არ შეესაბამება ახლანდელ მოთხოვნებს, იგი ხშირად ვერ ასრულებს ოავის იმ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომ აღკვეთოს ნაკლოვანებები. ზოგჯერ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის ნაცვლად საქმე იმით ამოიწურება, რომ კომიტეტები და ჯგუფები მხოლოდ განცალკევებულ ზომებს იღებენ ცალკეული დარღვევების გამო.

თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ ამის მიზეზია სკკპ-ში არსებული ნაკლოვანებანიც, რომლის ორგანიზატორული საქმიანობა მთლიანად ვერ უზრუნველყოფს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ეფექტიან მუშაობას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ზოგიერთ სესიასა და პრეზიდიუმების სხდომებზე მათი მისამართით გამოითქვა არსებითი შენიშვნები.

ჩვენთვის გარდაქმნა ის არის, რომ შეეცვალოთ ასეთი მდგომარეობა, კომიტეტებისა და ჯგუფების მუშაობა ავიყვანოთ ახალი ამოცანების დონეზე, უზრუნველყოფთ მისი გაცილებით მეტი შედეგიანობა, რათა სახალხო კონტროლის წვლილი საერთო საქმეში უფრო მნიშვნელოვანი იყოს.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციაში, ის არის, რომ თითოეული სამინისტრო და საწარმო ასრულებდეს მიწოდებას ხელშეკრულებების მიხედვით და პროდუქციის ნომენკლატურის დავალებებს. ითვალისწინებს რა ამას, კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში გააძლიერა კონტროლი სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისადმი. ამ საკითხთან დაკავშირებით შემოწმდა 26 საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროს (გალრთი-ანებათა და საწარმოთა მუშაობა.

საგეგმო დავალებათა, პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულების მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება, მაგრამ საკითხის სიმწვავე რჩება, ბევრი საწარმო და ზოგიერთი დარგი კვლავ ვერ მუშაობს სტაბილურად, თავს ვერ ართმევს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ფუშავს გეგმებს. შემოწმებები მოწმობს, რომ ასეთი მდგომარეობის მიზეზი ძირითადად სუბიექტური ხასიათისაა, რომელიც დაკავშირებულია საქმის ცუდ ორგანიზაციასთან, სუსტ საშემსრულებლო დისციპლინასთან. ამასთან ეს ხდება იმ დარგებშიც კი, რომლებიც მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობენ.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ სახალხო კონტროლის საკავშირო კომიტეტი და ადგილობრივი ორგანოები ხშირად ჯერ კიდევ გვერდს უვლიან გეგმებისა და ხელშეკრულებების მიხედვით პროდუქციის მიწოდების ჩაშლის ფაქტებს, სათანადოდ არ მოჰკიდხვენ ბრალეულებს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო. შემოწმებათა შედეგების მიხედვით ჯერ კიდევ ცოტა კონსტრუქციული წინადადება შემოდის დარგების მუშაობის გაუმჯობესების, სამმართველო აპარატის სრულყოფის შესახებ. ჩვენ ამას ვხედავთ და ვიღებთ ზომებს, რათა გავაჯანდოთ სახალხო კონტროლის აქტიურობა საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებმა, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულების შემოწმებასთან ერთად, მთელი სიმტკიცით გაიღაშქრონ წამატებების ფაქტების, სახელმწიფოს მოტყუების ყოველ ცდის წინააღმდეგ. სახელმწიფო დისციპლინის ამ უხეში დარღვევებისათვის კომიტეტებმა პასუხისგებაში მისცეს 100 ათასზე მეტი თანამდებობის პირი.

პარტიის მიერ დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოდერნიზაციის ამოცანათა მნიშვნელობის გათვალისწინებით გარდაიქმნება კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობა ამ საკითხებში კონტროლ ი ს ა თ ვ ი ს. ჩვენს მოვალეობად მარტო ის კი არ მიგვაჩნია, რომ უფრო გაბედულად გამოვავლინოთ, უბნებზე როგორ წარმოიქმნება ჩამორჩენა და მოდუნება, კონსერვატიზმი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასა და ათვისებაში, იხარჯება დიდძალი სახსრები საჭირო უკუგების გარეშე, არამედ რეალურადაც უნდა მოვახდინოთ ზეგავლენა საქმის გაუმჯობესებაზე.

კომიტეტმა შეამოწმა საქმის ვითარება საობობ-ენერგეტიკული კომპლექსის, მაშქანათმშენებლობის, მეტალურგიის, ქიმიის, მსუბუქი მრეწველობის ბევრ უმნიშვნელოვანეს მშენებლობაზე. შემოწმებათა შედეგების მიხედვით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საქმის გაუმჯობესებას მშენებლობ ბ ზ ე, ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას.

ახლა, როცა საინვესტიციო პოლიტიკაში მთელი ყურადღება ეთმობა ძირითადი ფონდების განახლების დაჩქარებას, კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ბევრად გააძლიეროს კონტროლი წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გათვალისწინებული მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების კონცენტრაციის შესახებ პარტიის დირექტივების შესრულებისადმი.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კონტროლს სამინისტროთა და საწარმოთა მიერ ისეთი მწვავე და გადაუდებელი პრობლემის გამო პარტიისა და სახელმწიფოს მოთხოვნების შესრულებისადმი, როგორიცაა პროდუქციისა და მთელი მუშაობის ხარისხი. შემოწმებები მოწმობს, რომ ბევრ დარგში ზარისხისათვის ბრძოლა ჯერ არ გამხდარა უპირველესი საქმე. ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი არა მარტო დაბალი ტექნიკური დონისაა, ძრამედ, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია, მზადდება ჰაიჰარად, ზოგჯერ კი საერთოდ უშვებენ წუნით. ხშირად ასეთია ის პროდუქციაც, რომელსაც ხარისხის ნიშანი აქვს.

ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს მშენებლობის, განსაკუთრებით საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხი. სამწუხაროდ, საექსპლოატაციოდ ობიექტების მიღების წესი ახლაც ბევრგან ირღვევა.

ბევრი მიმართულებით წარმოებს კონტროლი აგროსამრეწველო კომპლექსში. მარტო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არჩეულია 2,6 მილიონი სახალხო კონტროლიორი, რომლებიც დისციპლინის განმტკიცებაზე თავიანთი ზემოქმედებით დიდ დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებსა და საბჭოებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაში, სასურსათო პროგრამის შესრულებაში.

სახალხო კონტროლის კომიტეტის ყველა ორგანოს საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო და არის ბრძოლა უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმ დ ე გ, მომეჯირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის დაცვისათვის. ბევრ საწარმოში და შენებლობაზე სახალხო კონტროლიორებს, რომლებიც პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტივისტებთან ერთად მოქმედებენ, რეალური წვლილი შეაქვთ ლითონის, ელექტროენერგიის, სათბობის ეკონომიის საქმეში, აქტიურად ილაშქრებენ რესურსების განიავების წინააღმდეგ.

უკანასკნელ ხანს სახალხო კონტროლის ორგანოებმა შესამჩნევად გააფართოეს სოციალურ სფეროში კონტროლის განხორციელების საკითხთა წრე. კომიტეტმა, კერძოდ, შეამოწმა და მიიღო ზომები მთელი რიგი სამინისტროების საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ასორტიმენტის გაფართოების დაგალებათა შესასრულებლად. სახალხო კონტროლის ორგანოები ბევრ შემოწმებას აწყობენ ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, მოეწყო პურის ხარჯვის, საშენი მასალების ეაჭრობის ორგანიზაციის მასობრივი შემოწმებები.

სოციალური სამართლიანობის პრინციპის მკაცრად დაცვის, უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიის მოთხოვნების შესაბამისად კომიტეტები და ჯგუფები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კონტროლს ხელფასის ფონდების, მატერიალური წახალისების სახსრების სწორი ხარჯვისადმი, სხვა სიკეთეთა განაწილებისადმი. საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად, მაგალითად, 22 ოლქსა და რესპუბლიკაში შემოწმდა კანონმდებლობის დაცვა ისეთ მწვავე სოციალურ საკითხში, როგორიცაა ბინების აღრიცხვა და განაწილება.

კონტროლი ეწეოდა ბუნების დაცვის კანონმდებლობის მესრულებას. შემოწმებები მოწმობს, რომ მთელ რიგ რეგიონებში უწყებრივი მიდგომისა და უდისციპლინობის გამო მთლიანად ვერ სრულდება გადაწყვეტილებანი ჰაერისა და წყლის აუზების გაჯუჯაანების შეწყვეტის შესახებ.

დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, სხვადასხვაგვარი დარღვევის აღკვეთაში კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭ ებ ს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობას. ორი წლინახევრის მანძილზე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს წერილობითი განცხადებები გამოუგზავნა და მიღებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ადგილობრივ ორგანოებს, [illegible] ოლქებში, ქალაქებსა [illegible] ადგილებზე [illegible] ციელების საკითხთა [illegible] ციპული დასკვნების გამოტანის საფუძველი გახდა. კომიტეტი სისტემატურად ამოწმებდა აგრეთვე იმას, თუ როგორ წარმოებს მუშაობა წერილებსა და საჩივრებზე სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, იღებდა ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, როცა ბევრად იზრდება საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობა და ინიციატივა, არის იმის საჭიროება, რომ დავამყაროთ წესრიგი უწყებრივ და საუწყებათშორისო კონტროლში, გავზარდოთ მისი ქმედითობა. ბევრი შემოწმება და რევიზია, რომელთა გამო უამრავი ხალხი სწყდება საქმეს, ეწყობა ფორმალური მოსაზრებებით, მოძველებული ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით და ხშირად დუბლირებას უწევენ ერთმანეთს.

ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტიურობა და მებრძოლურობა დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა თვითონ მათზე, იმაზე, თუ ვინ არის იქ არჩეული და როგორ ასრულებს თავის მოვალეობებს. ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს იმასაც, რომ დროზე, საქმიანად დავუჭიროთ მხარი მათს მუშაობას, გაბედულად აღკვეთოთ საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სახალხო კონტროლიორთა დევნის ფაქტები. ასეთი რამ კი ჯერ კიდევ გვხვდება, თქვა მომხსენებელმა.

პარტიისა და საბჭოების ხელმძღვანელობაშია სახალხო კონტროლის ძალა, მისი საქმიანობის წარმატებათა საწინდარი. დეპუტატმა განაცხადა, რომ სახალხო კონტროლის მუშაკები და აქტივისტები, რომლებსაც ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად გაართვან თავი დასახულ ამოცანებს (ტაში). (საკდესი).

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ ი. ი. გლადკის მოხსენება

თქვენს განსახილველად, თქვა მომხსენებელმა, შეთავაზებულ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კანონპროექტი, რომელიც წინასწარ განიხილეს და მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განმარტებულობათა კომისიებმა.

კანონპროექტი შემუშავებულია იმ დებულებებისა და მითითებების საფუძველზე, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარების მიზანშეწონილობის, სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპებთან ამ სახეობის შრომის სრული შეთავსების საჭიროების შესახებ. მისი მიღებისას გამოიყენეთ მომმე სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება, გულდასმით შეისწავლეთ და გავითვალისწინეთ სურვილები და საგულისხმო წინადადებები, რომლებიც გამოთქმულია პრესაში და მშრომელთა წერილებში. მას მხარი დაუჭიერ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა.

პროექტს საფუძვლად დაედო შემდეგი ძირითადი პრინციპები.

ჯერ ერთი, გათვალისწინებულია, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის რეგულირებისას სახელმწიფო უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის. ამ საქმიანობის განვითარებას არ უნდა მოსდევდეს შედეგად შრომითი რესურსების გადინება საზოგადოებრივი წარმოებიდან, მაგრამ ამავე დროს იგი მოწოდებულია ხელს უწყობდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით მოსახლეობის დასაქმების გაუმჯობესებას.

მეორე, გათვალისწინებულია გაუმჯდეს ყველა უსაფუძვლო შეზღუდვა იმ სახეობათა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაზე, რომლებიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის, ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

მესამე, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარება ისე რეგულირდება, რომ ამ საქმისანობით მიღებული შემოსავალი შეესაბამებოდეს მოქალაქეთა პირადი შრომის დანახარჯებს და სოციალური სამართლიანობის პრინციპს.

ინდივიდუალური შრომ ი თ ი საქმიანობის ნებართვების გაცემასა და ამ საქმიანობის რეგულირებაში ფართო უფლებები ენიჭებათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს.

მომხსენებელი შეეხო კანონპროექტის მთავარ პრინციპულ მომენტებს. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება მიენიჭებათ საზოგადოებრივი წარმოების მონაწილე სრულწლოვან მოქალაქეებს ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, დიასახლისებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს. საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შეუძლიათ აგრეთვე სხვა მოქალაქეებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში.

იმ პირთ, რომლებიც იშვიათ მხატვრულ ნაკეთობათა დამზადების დიდი ოსტატობით გამოირჩევიან, შეიძლება ნება დაერთოთ ასწავლონ სხვა მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საამისო მიდრეკილება და მოწოდება.

სახელმწიფო ხელს უწყობს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მონაწილე მოქალაქეთა ჩაბმას სახელმეკრულებო ურთიერთობაში სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. უფრო მეტიც, სახელმწიფო წაახალისებს ამ მოქალაქეთა გაერთიანებას კოოპერატივებად, ნებაყოფლობითს საზოგადოებებად და ამხანაგობებად. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევებში გამოიყენება დებულებები და წესები, რომლებიც დადგენილია შესაბამისი კოოპერატივების, საზოგადოებებისა და ამხანაგობების წესრიგისათვის.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვა მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა სამბჭოების აღმასკომებში, მათ შორის, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ უფლება ადგილობრივ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით და ამა თუ იმ საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების მოთხოვნილებათა საფუძველზე განსაზღვრონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი, რომელთა გაძღოლის ნებართვის მიღება არ არის საჭირო. ამავე დროს გათვალისწინებულია, რომ ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი უნდა ეცნობოს მოსახლეობას.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური მუხლი ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმულ მოქალაქეთა ხელშეწყობის შესახებ. იქ ნათქვამია, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ამ მოქალაქეებს ხელს უწყობენ მასალა-ნედლეულისა და სხვა იმ ქონების შეძენაში, რომელიც საჭიროა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის, აგრეთვე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებაში, შეუძლიათ მათ იჯართ ჩააბარონ არასაცხოვრებელი სათავსები, მისცენ საჭირო ინფორმაცია. მასალა-ნედლეულისა და სხვა ქონების შესაძენად ამ მოქალაქეებს დადგენილი წესით შეიძლება მიეცეთ კრედიტი.

სსრ კავშირის სახმომარაგებას და მის ტერიტორიულ ორგანოებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მოქალაქენი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან.

პროექტი განსაზღვრავს სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკას ასეთ მოქალაქეთა მიმართ. გადასახადები დაწესდება მიღებული შემოსავლის თანხის აკადემიაზე და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეული უპირატესობანი მივანიჭოთ დაბეგვრის დროს მოქალაქეებს, რომლებიც მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო საჭირო საქონელს აწარმოებენ და მას საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევენ. ამავე დროს იქნება წამამძღვრები იმისათვის, რომ დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპი, თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეთა მიერ მეტისმეტად დიდი, შრომითი წვლილის შეუსაბამო შემოსავლის მიღება ასეთი საქმიანობის ცალკეულ სახეობათა შედეგად.

ტრადიციულ ფორმებთან ერთად, რომლებიც საფინანსო ორგანოებში სარეგისტრაციო მოწმობათა მიღებას გულისხმობს, გათვალისწინებულია ნება დაერთოთ მოქალაქეებს შეიძინონ პატენტები მთელ რიგ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის. აღნიშნული საქმიანობის კონკრეტულ სახეობებს და პატენტების საზღაურის ოდენობას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

ამის გამო, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის დღესდღეობით არ არსებობს პატენტების სისტემა, მიზანშეწონილად არის მიჩნეული გათვალისწინებულ იქნეს კანონპროექტით პატენტის საზღაურის ზოგადი პრინციპები. ამ საზღაურის ოდენობას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები იმ პირთა საშუალო წლიური შემოსავლის საფუძველზე, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას მისდევენ საზოგადოებრივ სექტორში ან ასრულებენ ასეთსავე სამუშაოს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით უპატენტებოდ, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების გათვალისწინებით.

პროექტის განყოფილებებში, რომლებიც ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ეძღვნება, ძირითადი ყურადღება ეთმობა ამ საქმიანობის დაშვებულ სახეობათა გაფართოებას. საქმიანობის ისეთ ტრადიციულ ნებადართულ სახეობათა შენარჩუნებასთან ერთად, როგორიც არის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის კერვა, ქსოვა, ქარგვა, ხალიჩის ქსოვა, სათამაშოების, ავეჯის, თუნუნ ნაწარმისა და სუვენირების დამზადება, ხალხური მხატვრული სარეწები, მანქანაზე ბეჭდვა და ზოგიერთი სხვა, გათვალისწინებულია არსებული პრაქტიკის შესაბამისად არსებითად შეივსოს სხვადასხვა სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნუსხა იმ მიზნით, რომ უფრო სრულად უზრუნველყოთ მოსახლეობა საქონლითა და მომსახურებით.

შინამრეწველურ-ხელოსნურ სარეწოთა სფეროში, მაგალითად, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნისა და მებაღეობის ამხანაგობათა ფართო გავრცელების გათვალისწინებით ნებადართულია ბალ-ბოსტნის ინვენტარის საგნების დამზადება.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დაშვებულ სახეობათა მომსახურების ნუსხაში გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების, საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა აშენება, შეკეთება, აღჭურვა და კეთილმოწყობა; მარტოხელა მოხუც და შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურება; საპარიკმახერო და კოსმეტიკური მომსახურება, ფოტოგრაფირება.

ბევრი მშრომელის წინადადებების მიხედვით გათვალისწინებულია ნება დაერთოთ მოქალაქეებს აწარმოონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით შეაკეთონ და ტექნიკური მომსახურება გაუწიონ პირად ავტომობილებსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით, ნებადართულ სახეობათა მომსახურებაში შეტანილია ტურისტების, ექსკურსანტებისა და სხვა მოქალაქეების მომსახურება პანსიონური საწყისებით საწარმო-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

სოციალურ-კულტურულ სფეროში ნებადართულია მეცადინეობა რეპეტიტორობის წესით, ტექსტების თარგმნა ენებიდან და სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან. ეს შესაძლებლობას მოგვცემს აქტიურ და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითს საქმიანობაში ჩავაბათ ბევრი კვალიფიციური მასწავლებელი და სპეციალისტი, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება და ცოდნა, მათ შორის, პენსიონერები, და ამავე დროს ეს ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით დაშვებულ მომსახურების სახეობათა რიცხვში შეტანილია მოქალაქეთა სატანსპორტო მომსახურება პირადი ავტომობილების მფლობელთა მიერ.

პროექტში დაშვებულთა შორის უშუალოდ არის დასახელებული 30-ზე მეტი ყველაზე გავრცელებულ სახეობათა რეწვა-მომსახურება, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით. მაგრამ, აღნიშნა მომხსენებელმა, ნებადართულ სახეობათა რეწვა-მომსახურების ნუსხები არ არის ამომწურავი და ითვალისწინებს ადგილებზე მათი შევსების შესაძლებლობას, უკეთუ შესაბამისი სახეობანი არ ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას.

პროექტის განხილვის დროს გამოთქმულ წინადადებათა გათვალისწინებით დაზუსტებულია მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც არეგლამენტებენ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ცალკეულ სფეროებში.

მაგალითად, გათვალისწინებულია ნებადართულად გამოცხადდეს შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების ნ ა ვ თ ი თ ბ ა თ ა გაყიდვა დადგენილი წესის შესაბამისად, როგორც მათი დამზადების ადგილას, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების დაცვით. განყოფილებაში, რომელიც სოციალურ-კულტურულ სფეროს ეძღვნება, „გათვალისწინებულია, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს სამედიცინო, პედაგოგიურ და სხვა სპეციალურ ცოდნას, აგრეთვე დაკავშირებულია ცალკეული პროფესიებისა და ჩვევების სწავლებასთან, ნებადართულია მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აქვთ სპეციალური მომზადება, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამისი განათლებაც.

კანონპროექტით აკრძალულია ისეთ სახეობათა საქმიანობა, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. ეს ეხება, მაგალითად, ყოველგვარი სახეობის იარაღის დამზადებასა და შეკეთებას, შხამიან და ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადებას, სამორინეების შენახვას, აზარტული თამაშების ორგანიზაციას. სავსებით გასაგები მიზეზების გამო აკრძალულია აგრეთვე ცალკეულ სახეობათა სამედიცინო პრაქტიკა ჯანდაცვის კანონმდებლობის შესაბამისად, მეცადინეობა იმ საგნებისა და კურსების მოსამზადებლად, რომლებიც არ შედის სასწავლებლების სასწავლო გეგმებში, და საქმიანობის სხვა ცალკეული სახეობანი.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესაძლებლობათა არსებითს გაფართოებასთან ერთად იზრდება მოქალაქეთა პასუხისმგებლობა შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისათვის. განსაზღვრულია, კერძოდ, რომ დადგენილი წესის დამრღვევ პირებს შეიძლება აეკრძალოთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა. არ დაიშვება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა დაქირავებული შრომის გამოყენებით და უშრომელი შემოსავლის შოვნის მიზნით.

გათვალისწინებულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ზუსტი წესი სახელმწიფოს წინაშე მათი საგადასახადო ვალდებულებების მხრივ. მოქალაქეებმა დროულად უნდა დაარეგისტრირონ თავიანთი საქმიანობა საფინანსო ორგანოებში, ამასთან აღნიშნონ აღნიშნული საქმიანობის შედეგად მიღებული მთელი შემოსავალი და წარადგინონ დეკლარაციები მათი ოდენობის შესახებ. დადგენილია, რომ აკრძალული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, აგრეთვე სათანადო ნებართვის მიუღებლად ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მთელი შემოსავალი, უნდა გადაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში.

ახალი კანონის დებულებათა განხორციელება მოითხოვს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, უწყება-სამინისტროების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიდ ორგანიზატორულსა და ახსნა-განმარტებითს მუშაობას. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა უფლებების გარანტიები და ამავე დროს დაუწესდეს მკაცრი და ქმედითი კონტროლი მის სწორ განხორციელებას. მთელი ამ მოსამზადებელი სამუშაოს შესრულებას გარკვეული დრო დასჭირდება. ამიტომ მიზანშეწონილად არის მიჩნეული ახალი კანონი სამოქმედოდ იქნეს შემოღებული 1987 წლის მაისიდან.

ახალი კანონის დებულებანი, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, მთლიანად ესადაგება სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპებს. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ მიღებული ღონისძიებანი არ ნიშნავს რაგინდარა ფორმით კერძო მეწარმეობრივი საქმიანობისადმი დაბრუნებას, ხოლო ზოგიერთი ბურუუაზიული მოღვაწის გამონათქვამები და მონაზმაზები ამის თაობაზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა. საბჭოთა ადამიანების ნიადაგ მზარდ მატერიალურ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მთავარი ძირითადი წყარო

დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას სიტყვა

(თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სს რესპუბლიკა)

კატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები გამსჭვალულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის პარტიის დაუცხრომელი ზრუნვით.

ჩვენი გეგმების მიზანია მშვიდობიანი მშენებლობა. ისინი მთლიანად შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს, რომელიც ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ბრთველი საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისათვის გამიზნულ საბჭოთა ხელმძღვანელობის თანამიმდევრულ ინიციატივებს.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მიერ წამოყენებული ფუძემდებელი დებულებანი აღრმავებს და ავითარებს სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1986 წლის ივნისის პლენუმების მიერ დასაბულ კურსს, რომელთა მნიშვნელობა თვალნათლივ ვლინდება თანამედროვე ეტაპზე პარტიის აღმშენებლობითი იდეების რეალიზაციის პროცესში. გარდაქმნა შეუნელებლად მიიწევს წინ. ჩანაფიქრების ენერგია ხორცს ისხამს მოქმედების ენერგიად, ამასთან გვიკარნახებს ახალი მეთოდების, ახალი მიდგომის აუცილებლობას. დაჩქარების კურსი, რომელსაც პარტია აბორიელებს, უკვე ყველგან იძლევა დადებით შედეგებს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სამეურნეო მუშაობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გაჯანსაღების ახალი ეფექტიანი გზებისა და საშუალებების გამონახვისა და აპრობაციის ინტენსიური პროცესი.

გარდაქმნის დროს გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი პარამეტრები. უწინარეს ყოვლისა გაიქტიურდა განვითარების სტრატეგიული ფაქტორები. სულ უფრო მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი. უმჯობესდება ადამიანების დამოკიდებულება შრომისა და თავიანთი საზოგადოებისადმი. ამან საშუალება მოგვცა დაგვეძლია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო წლის პირველ ნახევარში დაშვებული ჩამორჩენა.

მიმდინარე წლის ათ თვეში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 4,7 პროცენტი შეადგინა და გადაეჭარბა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონეს. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია 335 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის მატება. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვების გეგმა 3,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

და მაინც, საქმე ჯერ ვერ არის ისე, როგორც გვინდა, და ვერც ისე, როგორც საჭიროა. რა თქმა უნდა, გაუმჯობესება არის, მაგრამ არ მომხდარა ძირეული გარდატეხა. ბევრმა საწარმომ და ორგანიზაციამ ვერ დააღწია თავი ძმიმე ფინანსურ მდგომარეობას, ჯერ კიდევ დიდი საწარმოო დანაკარგები, თვითღირებულ ე ბ ა, უზრუნველყოფილი არ არის სახელშეკრულებო ვალდებულებათა ასპროცენტიანი შესრულება. ერთი სიტყვით, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია, რათა უზრუნველვყოთ წარმოებისა და ტექნოლოგიის კარდინალური განახლება, უთუოდ გამოვუშვათ სულ უფრო მაღალი ტექნიკური დონისა და უკეთესი ხარისხის სამრეწველო პროდუქცია და საქონელი ხალხისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! მართვის გარდაქმნა, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლა სულ უფრო ეფექტიან გავლენას ახდენს საქმის ვითარებაზე რესპუბლიკის აყოლსამრეწველო კომპლექსში. უკიდურესად არასასიკეთო ამინდის პირობების, სტიქიური უბედურების მიუხედავად, რომელთა გამოც მარტო მეორე კვარტალში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას 130 მილიონი მანეთის ზარალი მიადგა, გაუმჯობესდა სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. არც მეჩაიეებმა გვიმტყუნეს, რომელებმაც ექსტერმალურ პირობებში შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

მადლიერებით უნდა მოვიხსენიო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახაგრომრეწვისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელთა მეცადინეობა, რომლებიც დადებითად წყვეტენ მეჩაიეობის ძირეული რეკონსტრუქციის გადაუდებელ პრობლემებს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ წლებში რესპუბლიკისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი დარგი მიიღწევს განვითარების თვისებრივად ახალ მიჯნებს.

ახალი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად რესპუბლიკაში განხორციელდა კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი. შესამჩნევად გაიზარდა კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. ამასთან ინვარ-ოქტომბერში მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და განახლებისათვის ათვისებულია 20 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1985 წლის ანალოგიურ პერიოდში. შესრულებულია სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების — ბინების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სოლმდელი დაწესებულებების, საავადყოფოების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. მიღებულია 1987 წლიდან ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვის შემცირების ღონისძიებანი.

ახლა წარმოებს ეტაპობრივი მზადება, რათა ახალი წლის დამდეგიდან სახალხო მეურნეობის ყველა დარგი გადავიყვანოთ მუშაობის ახალ პირობებზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ნიადაგ განიხილავენ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადამავალ საწარმოთა საკითხებს, ეწყობა კადრების სწავლება, ადგილებზე გამოცდილების გაზიარება, ამ მიზნისათვის ფართოდ გამოიყენება პრესა და ტელევიზია. იწყება საწარმოთა მზადება სახელმწიფო მიღებაზე გადასვლისათვის, მიმდინარეობს სამუშაო ადგილების, მოწყობ ი ლ ო ბ ი ს, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების პასპორტიზაცია და ატესტაცია იმ მიზნით, რომ შევუსაბამოთ ისინი ტექნიკურ მოთხოვნებს, ზუსტდება სახსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური დოკუმენტაცია.

მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გავაძლიეროთ და დავაჩქაროთ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა ზუსტად და მომთხოვნელად ჩამოაყალიბა სახელმწიფო მიღების პირობებში ჩვენი მუშაობის მიჯნები, მთელი გარდაქმნის ცენტრში მოაქცია ხარისხის საკითხები. როგორც ჩანს, კიდევ უფრო მწვავედ დადგება სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელების სამეცნიერო-ტექნიკურ ინოვაციებზე დამკვიდრებული სტერეოტიპების დაძლევის პრობლემა, არ მინდა ვიწინასწარმეტყველო, მაგრამ, ალბათ, სახელმწიფო მიღების დაწყებასთან ერთად ბევრი საუფროსო სავარძელი დაკავდეს თავის კომფორტულობას, ან უბრალოდ თავის პატრონებს მოისვრის გარდაქმნის გზის პირისაკენ.

დღევანდელი სამეურნეო მუშაობის ხასიათს განსაზღვრავს პარტიის საპროგრამო დოკუმენტები. მათ მოითხოვეს შექმნილი სიტუაციის ღრმა გააზრება, გაბედული გადაწყვეტილებანი და ენერგიული მოქმედება. ეკონომიკის განვითარებისადმი ახალი მოთხოვნები, ახალი მიდგომა შეუთავსებელია ყოველივე იმასთან, რაც უცხოა სოციალისტური საზოგადოების, სოციალისტური ცხოვრების წესისა და მეურნეობრიობის მორალური საფუძვლებისათვის. საქმე ეხება წამატებებისა და თვალის აბვევის, ლიბერალიზმისა და ყოვლის მიტევების წინააღმდეგ ბრძოლას.

ეს პრინციპული, პოლიტიკური საკითხია, რომელსაც აქვს ფაროო ზნეობრივი და მორალურ-აღმზრდელობითი ასპექტები, გამომდინარე პარტიის პროგრამისა და სკკპ წესდების მოთხოვნებიდან, ვინაიდან კარგად ვიცით, რას იწვევს რეალური წინააღდეგობების, მუშაობაში ნაკლოვანებების მიჩქმალვა, მწვავე პრობლემების უგულებელყოფა, პარადულობა და მოჩვენებითობა. აი, რატომ აჩიან შეუწყნარებელნი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა საგეგმო და საანგარიშო დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის, საანგარიშო მონაცემების დამახინჯებისადმი.

ასეთი უკომპრომისობისა და პარტიული მომთხოვნელობის მაგალითი შეიძლება გაზდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი გადაწყვეტილება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელების, შესაბამისი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მკაცრად დასჯის შესახებ. გავამკაცრეთ რა ბრძოლა, ამავე დროს ფართოდ ვატყობინებთ რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, კომუნისტებს, მშრომელებს ყოველივე იმას, რაც ხდება, ვუუბნებით ადამიანებს სიმართლეს იმ ხელმძღვანელთა სულიერი დეგრადაციის მიზეზების შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს მოტყუების გზას დაადგნენ. ასეთი საჯაროობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშრომელებისადმი ნდობით აღსავსე დამოკიდებულება, იწვევს ყველაზე მხურვალე და, რაც. მთავარია, საგნობრივ და დაინტერესებულ გამოხმაურებასა და უკუგებას.

ამხანაგებო! რესპუბლიკას შეუძლია გადაწყვეტოს 1987 წლის რთული სახალხო-სამეურნეო ამოცანები, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება აგრეთვე მთელი რიგი საჭირბოროტო პრობლემების გადაუდებელ გადაწყვეტაზე, რომლებიც საკავშირო ორგანოების კომპეტენციაში შედის და რომლებაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სტაბილური ფუნქციონირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა აზრი ზოგიერთ საკითხზე. მათი ნაწილი წლების მანძილზე გროვდებოდა და დღეს საგრძნობ გავლენას ახდენს გარდაქმნის პროცესზე. უწინარეს ყოველისა მხედველობაში მაქვს ტერიტორიული თვალსაზრისით სარეწველო წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების პრობლემა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ახალ სამეურნეო პირობებშიც რესპუბლიკა ხშირად აწყდება მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადაულახავ სიძნელეებს, ვინაიდან ზოგიერთი საკავშირო სამინისტრო საქვეუწყების საწარმოთა წლიურ გეგმებში ყოველთვის არ ითვალისწინებს დაკალებებს ხუთწლედის დონეზე.

ეს ძველი სენი, სამწუხაროდ, თავს იჩენს 1987 წლის გეგმის პროექტშიც, რომელშიც უკვე დაგეგმილია ხუთწლიანი მიჯნებისაგან ენერგეტიკის სამინისტროს, თევზის მეურნეობის სამინისტროს, მინიმ მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სხვათა საწარმოების ჩამორჩენა.

როგორც წინა წლების გამოცდილება მოწმობს, არც ამისგან ვართ დაზღვეული, რომ საკავშირო სამინისტროებისა და ოფისებმა ერთ-ერთ ან ორ-ერთ ეტაპზე ეს ფაქტორი ის არის, რომ ყოველნაირად გავზარდოთ მოწყობილობის მუშაობის ცვლადობა მრეწველობის დამმუშავებელ დარგებში.

ნ. ვ. ტალიზინმა განაცხადა, რომ დეპუტატთა მიერ გამოთქმულ ყველა შენიშვნასა და წინადადებას ყურადღებით განიხილავენ და შედეგებს მოახსენებენ დეპუტატებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

1987 წლის გეგმა, თქვა ორატორმა, ყველა შრომითი კოლექტივის პრაქტიკული საქმიანობის ზრდა. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები მომავალ საიუბილეო წელს არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა წარმატებით შეასრულონ იგი, ხარკი შეასხან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს.

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ ორივე პალატის მუდმივ კომისიათა შესწორებების გათვალისწინებით.

(ბაბეგა პროექტ-ბით 1986 წლის გეგ-მასთან შედარებით)

წარმოებული ეროვნული შემოსავალი	4,1
რეწველობის პროდუქცია სულ	4,4
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,3
მოხმარების საგნების წარმოება	4,5
ომრომის ნაყოფიერება:	
რეწველობაში	4,4
შენებლობაში	3,8
ტრანსპორტზე	4,6
ეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	2,6

სოციალური განვითარ ებ ი ს პროგრამის თანამიმდევრული რეალიზაციის მიზნით გათვალისწინებულია 1987 წელს ცენტრალიზებული წესით განვახორციელოთ ალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი, რომლებიც მოახმარდება 2,8 მილიარდი მანეთი.

1987 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდება 26,2 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ხალხთა სამსჯავროს განაჩენი

ნიურნბერგის პროცესის დამთავრების 40 წლისთავის გამო

წლეულს ოქტომბრის დასაწყისში შესრულდა 40 წლისთავი ნიურნბერგის ისტორიული პროცესის დამთავრებიდან, პროცესისა, რომელიც 1945 წლის 20 ნოემბერს დაიწყო და თითქმის წელიწადი გრძელდებოდა.

ორმოცი წლის წინათ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მხოლოდ მილიონობით ადამიანის დადუმვეთხა და ტანჯვის გამო სამართლიანი შურისძიების აქტი არ იყო. ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის ნორმებად იქცა, რადგანაც როგორც იქ არის ნათქვამი, „აგრესიული ომის გაჩაღება მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის დანაშაული როდია. იგი უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულია“.

ეს პროცესი მართლაც სამართლიანი იყო. პირველად კაცობრიობის ისტორიაში განსასჯელის სკამზე დასვეს სისხლისმღვრელი აგრესიული ომების წამომძღვანები და ორგანიზატორები, ომისა, რომელმაც ორმოცდაათ მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა.

ნიურნბერგი — ეს ძველი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი შემთხვევით როდი შეარჩიეს საერთაშორისო სასამართლო პროცესის გასამართად. ფაშისტური დიქტატურის პერიოდში სწორედ აქ იყო თავმოყრილი მსხვილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები: სატანკო, საავიაციო, საარტილერიო, ფეიქრებადი მასალების დასამზადებელი მსხვილი ქარხნები; აქ იმართებოდა ფაშისტური პარტიის ყრილობები, აქ შეიმუშავეს ადამიანთა მოდგმის მოძულე ფაშისტური თეორიები, აქვე იგეგმებოდა მსოფლიო ბატონობისთვის გამიზნული აგრესიული ომების მიმდინარეობა... ისტორიამ იცის ამგვარი იშარე გაკვეთილები, სწორედ აქ პოვა საბოლოო აღსასრული ჰიტლერულმა მესამე რაიხმ.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ დანიშნული ოთხი მოსამართლისა და მათი მოადგილეებისაგან შედგებოდა. ტრიბუნალის თავმჯდომარედ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლთა შეთანხმებით ტრიბუნალის წევრი დიდი ბრიტანეთისაგან, ლორდ-მოსამართლე ჯეფრი ლორენსი დაინიშნა. ბრალდების მხარდასაჭერად ოთხ სახელმწიფოთაგან თითოეულმა მთავარი ბრალმდებელი და მათი თანამემწენი დანიშნა.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს გადაეცნენ ფაშისტური გერმანიის მმართველი ჰიტლერული ხროვის მონაწილენი, კაცობრიობის, მშვიდობისა და ომგრესიის უბოროტესი მტრები — სულ 24 კაცი, ესენი იყვნენ: გერმან გერინგი, რუდოლფ ჰესი, იოახიმ რიბენტროპი, რობერტ ლეი, ვილჰელმ კაიტელი, ერნესტ კალტენბრუნერი, ალფრედ როზენბერგი, ჰანს ფრანკი, ვილჰელმ ფრიკი, იულიუს შტრაიხერი, ვალტერ ფუნკი, ჰელმარ შახტი, გუსტავ კრუპი, კარლ დენიცი, ერიხ რედერი, ბალდურ შირახი, ფრიც ზაუკელი, ალფრედ იოდლი, ფრანც პაპენი, არტურ ზაის-ინკვარტი, ალბერტ შპეერი, კონსტანტინ ნეირატი, ჰანს ფრიტე და მარტინ ბორმანი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ უმძიმესი დანაშაულობანი კაცობრიობის წინაშე: აგრესიული ომების მომზადება, გაჩაღება და წარმოება, სამხედრო დანაშაულობანი, აგრეთვე სხვადასხვაგვარი არადამიანური ბრალეულობანი.

ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დაწყებამდე რობერტ ლეიმ თავი მოიკლა საპყრობილეში. გუსტავ კრუპი უკურნებელი სენით შეპყრობილი აღმოჩნდა, რის გამოც ტრიბუნალმა მისი საქმე შეწყვიტა. მარტინ ბორმანი ვერ იპოვეს, რის გამოც მის შესახებ საქმე ტრიბუნალმა დაუსწრებლად გაარჩია. ამიტომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგა ჰიტლერული მესამე რაიხის მხოლოდ 21 მესვეური. თითოეულ მათგანს, ტრიბუნალის წესდების თანახმად, პროცესის დაწყებამდე 30 დღით ადრე გადაეცა საბრალდებო აქტი გერმანულ ენაზე. ტრიბუნალმა განიხილა აგრეთვე მთელი რიგი ფაშისტური ორგანიზაციებისა და ჯგუფების დამნაშავედ ცნობის საკითხი. ესენი იყო ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობა, ჰიტლერული მთავრობის კაბინეტი, ფაშისტური პარტიის მოიერიშე (სა), დამცველი (სს) ჯგუფები, საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია (გესტაპო), გერმანიის შეიარაღებული ძალების (ვერმახტის) უმაღლესი სარდლობა და გენერალური შტაბი.

ყველა ბრალდებულს ჰყავდა მის მიერ არჩეული ან ტრიბუნალის დანიშნული დამცველი ცნობილი გერმანელი იურისტებისაგან. დამცველები ჰყავდა აგრეთვე ყველა დანაშაულებრივ ორგანიზაციისა და ჯგუფს, რომლებსაც ტრიბუნალი ასამართლებდა.

ნიურნბერგის პროცესზე დაკითხულ იქნა 116 მოწმე, 143 მოწმემ სასამართლოს ჩვენება მისცა დაკითხვის ფურცლებზე წერილობითი პასუხის სახით.

პროცესზე უჩვენეს ფაშისტთა ბარბაროსული მოქმედების ამსახველი უაბრავი ფილმი. პროცესის მსვლელობისას ჩაიწერეს მისი სრული სტენოგრამა, აგრეთვე ტრიბუნალის ყველა სხდომა. პროცესი მიმდინარეობდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მას თვალყურს ადევნებდნენ და სათანადოდ აღნუსხავდნენ ოთხი დიდი სახელმწიფოს და მრავალი სხვა ქვეყნის პრესისა და რადიოს მუშაკები.

პროცესის მსვლელობაში მთელი მსოფლიოს წინაშე მკაფიოდ გამოშიშლდა გერმანული ფაშიზმის ნამდვილი სახე. დათრგუნეს და მოსპეს რა ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთები და გაამტარეს მმართველობის ტერორისტული მეთოდები ჟერმანიაში, ფაშისტებმა მთელი სახელმწიფო მანქანა წარმართეს ყაჩაღური იმპერიალისტური აგრესიული ომების მოსამზადებლად; ფეხქვეშ გთელეს რა საერთაშორისო სამართლის ნორმები, მოამზადეს და განახორციელეს აგრესიული აქტები ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, დანიის, ნორვეგიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, სსრ კავშირის, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

ჰიტლერელებმა საყოველთაო-ცალკეა ბანაკებიდან მოჰფინეს ევროპის ტერიტორია. მათ შეიმუშავეს გაზის კამერებში, ღუმელებში ადამიანის მოსპობისა და მათი სხეულის ნაწილების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების შემზარავი ტექნოლოგია. ისინი დახოცილთა ტანსაცმელს და ფეხსაცმელს თავიანთი არმიისა და მოსახლეობისათვის იყენებდნენ, ოქროს კბილებსა და სამკაულებს ჟერმანიის ბანკი იღებდა, ადამიანის ქონისაგან საპონს ამზადებდნენ, ტყავისაგან — ხელთათმანებს, ჩანთებს და ა. შ. თმებს გადაამუშავებდნენ ნართად, რომლისგან მოქსოვილი წინდების სატერფულებს წყალქვეშა ნავებზე და რკინიგზებზე იყენებდნენ, ძვლებს ფქვავდნენ და იყენებდნენ ნიადაგის გასაუმჯობესებლად.

ფაშისტები დიდძალ შრომისუნარიან მშვიდობიან მოსახლეობას მიერეკებოდნენ ოკუპირებული რაიონებიდან და არაადამიანურ, მონურ პირობებში ამუშავებდნენ სამხედრო დანიშნულების საწარმოებში. მარტო საბჭოთა კავშირიდან მათ 4.978 ათასი საბჭოთა მოქალაქე წაიყვანეს, ჰოლანდიიდან — ნახევარ მილიონამდე, ჩეხოსლოვაკიიდან 750 ათასი კაცი და ა. შ.

გაანალიზა რა მეოცე საუკუნის კანიბალების ეს ბოროტმოქმედებები, მთავარმა ბრალმდებელმა სსრ კავშირიდან რ. რუდენკომ პროცესზე თავის დასკვნითს სიტყვაში სამართალში მიცემული ყველა მთავარი სამხედრო დანაშაულის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მოითხოვა.

1946 წლის 30 სექტემბერ-1 ოქტომბერს გამოქვეყნდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი. სამართალში მიცემულნი ცნობილ იქნენ დანაშაულად საბრალდო აქტით წაყენებულ ბრალდებებში. 12 მათგანს (გერინგს, რიბენტროპს, კაიტელს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრაიხერს, ზაუკელს, ზაის-ინკვარტს და ბორმანს) მოესაჯათ ჩამოხრჩობა, სამს (ჰესს, რედერსა და ფუნკს) — სამუდამო პატიმრობა, შირახსა და შპეერს — 20 წლის, ნეირატს — 15 და დენიცს — 10 წლის პატიმრობა. შახტი, პაპენი და ფრიჩე გამართლებულ იქნენ, რაც ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთ ნაკლად ჩაითვლა. ტრიბუნალის განაჩენით დამნაშავე ორგანიზაციებად გამოაცხადეს ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობა, გესტაპო, სდ და სს. ტრიბუნალმა დამნაშავე ორგანიზაციებად არ გამოაცხადა სა, ჰიტლერული მთავრობის კაბინეტი, ვერმახტის უმაღლესი სარდლობა და გენერალური შტაბი, რაც აგრეთვე ნიურნბერგის პროცესის ნაკლად იქნა მიჩნეული. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წევრი სსრ კავშირისაგან, იუსტიციის გენერალ-მაიორი ნიკიტჩენკო არ დაეთანხმა ტრიბუნალის განაჩენს შახტის, პაპენის და ფრიჩეს გამართლებისა და ჰესისათვის მხოლოდ მუდმივი პატიმრობის მისჯის საკითხში, აგრეთვე ჰიტლერული მთავრობის კაბინეტის, უმაღლესი სარდლობისა და გენერალური შტაბის გამართლებაში, ჩამოაყალიბა ოვისი განსაკუთრებული შეხედულება, რაც გამოქვეყნდა ნასამართლობაში და თან დაერთო განაჩენს. მას მიუნერგნით — მეტად მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრივი აზრი.

მას შემდეგ, რაც გერმანიაში მოკავშირეთა საკონტროლო სამეჩომ უარყო სიკვდილმისჯილ ბრალდებულთა შუამდგომლობა შეწყალების შესახებ, 1946 წლის 16 ოქტომბერს ღამით ნიურნბერგის ციხის შენობაში ტრიბუნალის განაჩენი აღსრულდა: 10 მთავარი სამხედრო დამნაშავე ჩამოახრჩეს, გერინგმა მანამდე 3 საათით ადრე კამერაში თავი მოიკლა, ბორმანი ვერ იპოვეს და, ცხადია, განაჩენი სისრულეში ვერ მოიყვანეს.

ჩამოხრჩობილთა გვამები და მათთან ერთად გერინგის გვამი დაწვეს და ფერფლი საიდუმლოდ გაფანტეს.

ასე დაესვა წერტილი ნაცისტურ მესამე რაიხს.

ნიურნბერგის პროცესს და მის განაჩენს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის ისტორიაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის 11 დეკემბერს დაამტკიცა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით გათვალისწინებული და მის განაჩენში ასახული საერთაშორისო სამართლის პრინციპები, როგორც საალდებულო ნორმები კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებთან ბრძოლაში.

ნიურნბერგის პროცესმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის მორალურ განადგურებაში და ისტორიაში შევიდა, როგორც მკაცრი გაფრთხილება ახალი ომის გაჩაღების მსურველთათვის.

გ. კაპანაძე,
დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

19 ნოემბერი ● საკდესი იუწყება

ქრონიკა

ფაქტები • მოვლენები

ისტორიული ვიზიტის წინ

ქვეყნად მუშიდობის განსამტკიცებლად

ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) ხელმძღვანელი მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის შესახებ

დელი. „ინდოეთი ელის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ჩამოსვლას, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის სრულიად ინდოეთის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნაჯმა პეფტულამ, — ამ ვიზიტს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საბჭოთა კავშირი და ინდოეთი კეთილი მეგობრები არიან“.

„ჩვენი ქვეყნები მტკიცედ იღგწიან ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისათვის. „დელის ექვსეულის“ სამშვიდობო ინიციატივა ბირთვული არსენალების გაყინვის, ბირთვული გამოცდების შეწყვეტის თაობაზე და საბჭოთა ხელმძღვანელის კონსტრუქციული წინადადებები გამალებული შეიარაღების შეკვეცისა და ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის შესახებ ნაკარნახევია ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვით, დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს განიარაღების, მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები ყურადღების ცენტრში იქნება“.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ახალი შეხვედრები ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) თავმჯდომარესთან, ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდისთან ხელს შეუწყობს აგრეთვე ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგების, მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) კავშირურთიერთობის გაფართოებას. ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს —საერთაშორისო მშვიდობა და განვითარება. ჩვენთვის ბედნიერება იქნება მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ინდოეთის მიწაზე“, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ჰეპტულამ.

ინდოეთის საზოგადოებრიობა და პრესა მიესალმებიან მომავალ ვიზიტს. ცნობილი მიმომხილველი ტაპან დასი გაზეთ „პატრიოტში“ წერს: „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ეფექტიანობა იმ უდიდესი შესაძლებლობის აშკარა დასტურია, რომლებიც რეგიონის ქვეყნებს აქვთ კოლექტიური უშიშროების უზრუნველსაყოფად“. ავტორი სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის სახელმწიფოებს სთავაზობს ყურადღებით განიხილონ სსრ კავშირის წინადადებები აზია-წყნარ ოკეანის რეგიონში უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

მიიღეს რეზოლუცია

ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი ვითარების გამო

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიის დელეგატებმა მიიღეს რეზოლუცია ცენტრალური ამერიკის მდგომარეობის შესახებ.

კრიზისის გაორმაგებას რეგიონში შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული დაძაბულობა და კონფლიქტები მთელ კონტინენტზე, ნთქვამია დოკუმენტში. ცენტრალურ ამერიკაში ომის თავიდან აცილება გადაუდებელი ამოცანაა. კონფლიქტის პოლიტიკური გზით კომპლექსური მოწესრიგების მისაღწევად საჭიროა ყველა სახელმწიფოს მონაწილეობა, რომლებიც უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით ჩაბმულნი არიან კონფლიქტში, აღნიშნულია რეზოლუციაში. იგი მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მხარი დაუჭირონ კონტადორის ჯგუფისა და მხარდამჭერი ჯგუფის მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობისა და უშიშროების მიღწევას.

პირველი კომიტეტის რეკომენდაცია

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება, რომ გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი მესამე სპეციალური სესია გაიმართოს 1988 წელს.

განიარაღება, აღნიშნულია მიღებულ რეზოლუციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დოკუმენტში გამოთქმულია შეშფოთება გამალებული შეიარაღების გამო, რომელიც ძირს უთხრის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, შთანთქავს უზარმაზარ რესურსებს, რომლებიც მეტად საჭიროა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

პირველი კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ურჩევს ამ მნიშვნელოვანი ფორუმის მოსაწყობად შეიქმნას მოსამზადებელი კომიტეტი, რომელიც საორგანიზაციო სესიას მოაწყობდა ჯერ კიდევ გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის დამთავრებამდე.

თურქეთი: სტუდენტთა პროტესტი

ფაქტის კომენტარი

მეათე დღეა თურქეთის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების დიდი ჯგუფის შიმშილობა. იგი დაიწყო მოსწავლე ახალგაზრდობის საპროტესტო მარშით უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის ანტიდემოკრატიული მუხლების წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ წერს, ამ საპროტესტო მოძრაობის მონაწილენი მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებულ უთანასწორობასა და დისკრიმინაციას.

ექვსი წლის წინათ სამხედროების გახელისუფლების შემდეგ ქვეყანაში დაიწყო თურქეთის უმაღლესი სასწავლებლების „წმენდა“, რომელშიც უწინარეს ყოვლისა პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტები და პროფესორები მოჰყვნენ. ამასთან ერთად გენერლებმა საპოლიციო რეჟიმი დამყარეს უმაღლეს სასწავლებლებში და შეიმუშავეს ახალი კანონმდებლობა განათლების სფეროში. მათი დროკონული ზომების შედეგად იკვეთება მთელი რიგი დისციპლინების სწავლება, „რომლებიც საფრთხეს უქმნის არსებულ წყობილებას“. სხვადასხვა საბაბით უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხეს ასობით სტუდენტი და მასწავლებელი.

განათლების უფლებას პრაქტიკულად მოკლებულია ხელმოკლე ოჯახების ბევრი წარმომადგენელი იმის გამო, რომ ლიცეუმებსა და კერძო უნივერსიტეტებში სწავლა ძალიან ძვირი ღირს. პროვინციაში მწვავედ იგრძნობა დაწყებითი სკოლებისა და მასწავლებლების ნაკლებობა. ამის შედეგად, პრესის მონაცემებით, ქვეყანაში კვლავ ვინდებარად მაღალია უწიგნურობის დონე. აღმოსავლეთ ანატოლიის ყველაზე ჩამორჩენილ რაიონებში მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა.

თურქი სტუდენტობა პარლამენტისადმი წარდგენილ პეტიციაში, რომელსაც 9 ათასი სტუდენტი აწერს ხელს, მოითხოვს, რომ შეწყდეს მოსწავლე ახალგაზრდობის დემოკრატიული წრეებების დევნა და განხორციელდეს რეფორმები განათლების სფეროში, რათა იგი ყველა თურქი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

(საკდესი).

◆ ნიკარაგუა

მოიწონეს ახალი კონსტიტუცია

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნულმა ასამბლეამ მოიწონა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ნიკარაგუის პარლამენტის თავმჯდომარის კარლოს ნუნიესის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ ძირითადი კანონის 202-ე მუხლი მიღებულია, ოვაციით შეხვდნენ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტისა და ექვსი ოპოზიციური პარტიის დეპუტატები, რომლებიც დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობდნენ.

ახალი კონსტიტუცია ასახავს ახლანდელ მდგომარეობას, რომელშიც ნიკარაგუა იმყოფება, და რევოლუციურ პროცესს, რომელსაც ქვეყანა განიცდის. იგი განამტკიცებს სანდინისტური რევოლუციის მიერ გამოცხადებულ საშინაო პოლიტიკაში „პოლიტიკური პლურალიზმისა და შერეული ეკონომიკის“ და საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობის პრინციპებს. ამავე დროს ნიკარაგუის ისტორიაში პირველი ნამდვილად დემოკრატიული ძირითადი კანონი ასახავს აგრეთვე ნიკარაგუელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვრებს, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესს.

ახალი კონსტიტუცია ძალაში შევა მომავალი წლის იანვარში.

ფოტოინფორმაცია

ინდოეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია გოა, დიუ და დამანის სამოკავშირეო ტერიტორიამ. დამოუკიდებლობის წლებში სკოლების რიცხვი აქ სამჯერ გაიზარდა. ამუამად ქვეყნის ამ რაიონში შექმნილია სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელი, იზრდება მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმოების რიცხვი. თანამედროვე გოაში მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრად იქცა ოკეანოგრაფიის ეროვნული ინსტიტუტი (სურათზე). აქ ახლობით მეცნიერი მუშაობს, რომლებიც ადამიანის სამსახურში ოკეანის რესურსების ჩაყენების პრობლემას სწავლობენ. ინსტიტუტს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერებთან.

საკდესის ფოტო.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-03-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ ულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 99-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტ ი ს — 99-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 99-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 99-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 99-16-90, უცხოეთის ინფორმაციი ს — 99-60-21, მუშაოველთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 99-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 99-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაი ს ი — 5-26,36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-38,10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 8-12-09; წითელწყარო — 28-66; ტყიბული — 25-82.

მოიწონეს ახალი კონსტიტუცია

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნულმა ასამბლეამ მოიწონა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ნიკარაგუის პარლამენტის თავმჯდომარის კარლოს ნუნიესის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ ძირითადი კანონის 202-ე მუხლი მიღებულია, ოვაციით შეხვდნენ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტისა და ექვსი ოპოზიციური პარტიის დეპუტატები, რომლებიც დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობდნენ.

ახალი კონსტიტუცია ასახავს ახლანდელ მდგომარეობას, რომელშიც ნიკარაგუა იმყოფება, და რევოლუციურ პროცესს, რომელსაც ქვეყანა განიცდის. იგი განამტკიცებს სანდინისტური რევოლუციის მიერ გამოცხადებულ საშინაო პოლიტიკაში „პოლიტიკური პლურალიზმისა და შერეული ეკონომიკის“ და საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობის პრინციპებს. ამავე დროს ნიკარაგუის ისტორიაში პირველი ნამდვილად დემოკრატიული ძირითადი კანონი ასახავს აგრეთვე ნიკარაგუელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვრებს, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესს.

ახალი კონსტიტუცია ძალაში შევა მომავალი წლის იანვარში.

ნარუმატმგელი გამოცდა

ნიუ-იორკი. ნარუმატებლად დამთავრდა კანავერალის კონცხზე (ფლორიდის შტატი) მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ატლანტისის“ პირველი სახმელეთო გამოცდა.

დროის ათვლის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ სერიოზული უწესივრობანი აღმოაჩინეს საბორტო კომპიუტერების სისტემაში, რომლებიც შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა. ამავე დროს კონტროლს დაუქვემდებარებელი გახდა ჰიუსტონის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში დადგმული მთავარი ელექტროგამომთვლელი მანქანა, როშელზეც მთლიანად არის დამოკიდებული „სპეის შატლის“ პროგრამით გათვალისწინებული კოსმოსური ხომალდების ფრენის მართვა. ვინაიდან კომპიუტერებში დეფექტები ვერ აღმოფხვრეს, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თავი შეიკავებინა „ატლანტისის“ ძრავების საწვრთნელი გაშვებისაგან. ეს იგი მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის პირველი გამოცდა „ჩელენჯერის“ კატასტროფის შემდეგ, რომლის შედეგად მთელი ეკიპაჟი დაიღუპა.

◆ იაპონია

დეპუტატთა ბოიკოტი

ტოკიო. მთელი კვირაა პარალიზებულია იაპონიის პარლამენტის მუშაობა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მეშვიდე დღეა ბოიკოტს უცხადებენ საპარლამენტო კომისიების სხდომებს, პროტესტს გამოთქვამენ მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის „ყარის ბოლოს“ დაკმაყოფილოს მათი მოთხოვნა მომდინარე წელს მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის შემცირების შესახებ.

ნარუმატმგელი გამოცდა

ნიუ-იორკი. ნარუმატებლად დამთავრდა კანავერალის კონცხზე (ფლორიდის შტატი) მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ატლანტისის“ პირველი სახმელეთო გამოცდა.

დროის ათვლის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ სერიოზული უწესივრობანი აღმოაჩინეს საბორტო კომპიუტერების სისტემაში, რომლებიც შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა. ამავე დროს კონტროლს დაუქვემდებარებელი გახდა ჰიუსტონის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში დადგმული მთავარი ელექტროგამომთვლელი მანქანა, როშელზეც მთლიანად არის დამოკიდებული „სპეის შატლის“ პროგრამით გათვალისწინებული კოსმოსური ხომალდების ფრენის მართვა. ვინაიდან კომპიუტერებში დეფექტები ვერ აღმოფხვრეს, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თავი შეიკავებინა „ატლანტისის“ ძრავების საწვრთნელი გაშვებისაგან. ეს იგი მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის პირველი გამოცდა „ჩელენჯერის“ კატასტროფის შემდეგ, რომლის შედეგად მთელი ეკიპაჟი დაიღუპა.

სატურნირო ორბიტა

ბაღდადი. არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა ფალაქ დუბაიში გრძელდება ქალთა და ვაჟთა გუნდების მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადები. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მეოთხე ტურში ინგლისთან 2:1 დაამარცხა რუმინეთის გუნდი და 10 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. საბჭოთა ნაკრებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან რუმინელები, იუგოსლავები და ჩინელები. მეოთხე ტურში იუგოსლავებმა მოუგეს უნგრელებს (2:1), ხოლო ჩინელებმა — ბულგარელებს (2,5:0,5). ოთხი ტურის შემდეგ ვაჟთა გუნდებს შორის ლიდერობენ საბჭოთა და იუგოსლავი მოჭადრაკეები — 13-13 ქულა და თითო გადადებული პარტია. მეოთხე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები უნგრელებთან მატჩში დაწინაურდნენ — 2:1 (1 პარტია გადადგა), იუგოსლავები კი ინდონეზიელებთან — 2,5:0,5 (1). ჩინელებსა და ინგლისელებს 12,5-12,5 ქულა აქვთ.

თავისუფალი ჭიდაობა. თბილისში დამთავრებულ დინამოელ სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრების პირად ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **ა. გოგრიჭიანმა** (82 კგ-მდე წონა), მეორე — **ა. ხუციძემ** (74 კგ), მესამე — **გ. გაბოძემ** (68 კგ), საერთო-გუნდური გამარჯვება მოიპოვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს კოლექტივებმა.

ფარიკაობა. ყაზანში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და ახალგაზრდა სპეციალიზებული სკოლების აღსაზრდელთა შორის. აქ მოხმალაკეთა პირად ასპარეზობაში იმარჯვა თბილისელმა **კ. მახარაძემ** და პირველ ადგილს დაეუფლა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

თეატრი

20 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ტოსკა** (მე-16 აბონ. მე-3 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ერთხელ მხოლოდ**, ისიც ძალზე; მინიატიურების სახელმწიფო — **პაემანი ხვნე ანუ ბესარიონის თავგადასავალი**; მოზარდ მაყურებელთა ქართული (რკინიგზელთა სახლის შენობაში) — **სალამურა** (აბონ. № 8, 12 ს.).

ოპერეტა

20 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მხატვრული ტელეფილმი „მიხაილო ლომონოსოვი“. ფილმი მე-2. მეორე და მესამე სერია. 12.10, 15.30 და 16.25 — ახალი ამბები. 15.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.55—საბავშვო სკოლა. 17.30 — ბელორუსული სურათები. 18.00 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსაგით, გააკეთე ჩვენზე უკეთ“. 19.00 — პოეზია. მიხეილ დუდინი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „სასმილება; ხარისხის პრობლემები“. 20.30 — ახალი ამბები. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „მიხაილო ლომონოსოვი“. ფილმი მე-2 მესამე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „საკონტროლო უფროსებისათვის“. 0.05 — დღეს მსოფლიოში. 0.20 — მსოფლიო და ახალგაზრდობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.35 — დრამატურგია და თეატრი. მ. ვ. გოგოლი — „რევიზორი“. 10.20 და 14.20 — ესპანური ენა. 10.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 11.35 და 12.35 — ზოოლოგია. მეშვიდე კლასი. 12.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 13.00 — ეკონომიკა — მასწავლებელს. ბუნებისმეტყველება. მეოთხე კლასი. 13.20 — მეთვრამეტე საუკუნის რუსული ხელოვნება. ფერწერა. 13.50 — ისტორიის ფურცლები. „ფიცი ელბაზე“. 14.50 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ზვიადი ჯარისკაცი“. 16.00